



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„კლდე“

„კლდე“, ქართული ყოველკვირეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური და ლიტერატურული ჟურნალი; გამოდიოდა თბილისში 1912–15, რედ.-გამომცემელი – რ. გაბაშვილი. ჟურნალში სტატიებისა და წერილების გარდა იბეჭდებოდა გი დე მოპასანის, ჯ. ლონდონის, ჯ. კ. ჯერომის, ფ. კოპეს, ო. უაილდის, მ. ტვენის, ა. ფრანსის, ი. ვ. გოეთეს, ტ. შვეჩენკოს და სხვა მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები. „კ-ის“ მხატვარი იყო ო. შშერლინგი. 1915 ჟურნალი დაიხურა.
